საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-1127
10/04/2024

1127-გ-2-202404101250

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს

ბატონო დიმიტრი,

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შემოსულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 26 მარტის 34-3424086261 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავაზში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (72.03.10.953) 200 კვ.მ მიწის ფართის გამიჯვნის და აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ.

გაცნობებთ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავაზში მდებარე მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 72.03.10.953) მიმდებარედ გადის ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის გ-1 გამანაწილებელი (ს/კ 72.00.610), რომლის გასხვისების ზოლი, „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების საამშენებლო ნორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003 წლის N19 ბრძანების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში შეადგენს არხის ბერმის კიდედან ორივე მხარეს 4-4 მეტრი, რაც აუცილებლად უნდა იყოს დაცული.

აღნიშნულიდან გამომდინარე შემდგომში მიწის ნაკვეთის რაიმე ფორმით გასხვისების შესაბამის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იქნას გასხვისების ზოლების დაცულობა. ასევე, დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 31.12.2013 წლის N409 და N440 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემების გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას.

დანართი: სიტუაციური ნახაზი.
პატივისცემით,

თამაზ მღებრიშვილი

გენერალური დირექტორი